02/10/2023

სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში გაიხსნა XV საერთაშორისო სამეცნიერო-სასულიერო კონფერენცია „თანამედროვე ღვთისმეტყველებისა და საეკლესიო მეცნიერების აქტუალური საკითხები“

28 სექტემბერს სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში მუშაობა დაიწყო ორდღიანმა XV საერთაშორისო სამეცნიერო-სასულიერო კონფერენციამ „თანამედროვე თეოლოგიის და საეკლესიო მეცნიერების აქტუალური საკითხები“, – იუწყება სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პრეს-სამსახური.

სამეცნიერო ღონისძიებამ, რომელიც ტრადიციულად იმართება ჩრდილოეთ დედაქალაქის სასულიერო სკოლის კედლებში, კიდევ ერთხელ შეკრიბა საეკლესიო და საერო მეცნიერები, სასულიერო აკადემიებისა და სემინარიების მასწავლებლები, სასულიერო და საერო უნივერსიტეტები, რათა განეხილათ თანამედროვე კვლევები ღვთისმეტყველებისა და საეკლესიო მეცნიერებების სფეროში.

კონფერენციის დაწყებამდე სამეცნიერო ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა სანკტ-

პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორი, პეტერგოფის ეპისკოპოსი სილუანე. „სასიხარულოა, რომ სამეცნიერო კომუნიკაციის ფორმატი არ ვიწროვდება, პირიქით – ვითარდება, ახალ ფორმებს იღებს. ჩვენი მასწავლებლების მიერ ორგანიზებული სექციები იქცევა მცირე სამეცნიერო ცენტრებად. მეცნიერების განვითარება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვა რეგიონის, მიმართულების, სკოლების მეცნიერთა ურთიერთთანამშრომლობით“, – აღნიშნა, კერძოდ, მეუფემ.

კონფერენცია გაიხსნა პლენარული სხდომით, რომელსაც თავმჯდომარეობდა დეკანოზი კონსტანტინე კოსტრომინი, სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პრორექტორი სამეცნიერო-საღვთისმეტყველო მოღვაწეობის საკითხებში.

შეხვედრაზე მომხსენებლები იყვნენ: მღვდელი დიმიტრი ლუშნიკოვი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, დოცენტი, სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ღვთისმეტყველების კათედრის გამგე – მოხსენებით „სინოდალურ პერიოდში ძირითადი ღვთისმეტყველების სწავლების მეთოდოლოგია სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში“; ნატალია იურის ასული სუხოვა, ეკლესიის ისტორიის დოქტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის კათედრის პროფესორი, წმინდა ტიხონის მართლმადიდებლური ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების ისტორიისა და საღვთისმეტყველო განათლების ცენტრის ხელმძღვანელი – მოხსენებით „შესაძლებელია თუ არა „ღვთის ცოცხალი შეგრძნება“ სასულიერო სკოლაში? (1917–1918 წლების ადგილობრივ კრებაზე შემდგარი დისკუსიის მასალების მიხედვით)“; მიტროპოლიტი ისიდორე (ტუპიკინი), ღვთისმეტყველების კანდიდატი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სმოლენსკის სასულიერო სემინარიის რექტორი – რომელმაც წარმოადგინა მოხსენება „1954 წლის „ასდღიანი“ ანტირელიგიური კამპანიის ტექნოლოგიები და მათი განხორციელება „ხრუშჩოვისეული“ დევნის პერიოდში (კალინინის ოლქის მაგალითზე)”; ეპისკოპოსი ნიკოლოზი (დუბინინი), მოსკოვის ღვთისმშობლის სამთავარეპისკოპოსოს დამხმარე ეპისკოპოსი დამატებითი უფლებამოსილებით ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში, გენერალური ვიკარიუსი, ღვთისმეტყველების ლიცენციატი – მოხსენებით „გრიგორიანული საკრამენტარიების შესახებ“.

პლენარული სხდომის შემდეგ პროფესორულ აკადემიაში კონფერენციის მუშაობა განაგრძო მრგვალმა მაგიდამ „Vir totius humilitatis, auctoritatis, ac orthodoxiae. წმიდა მღვდელთმთავარი გრიგოლი დიდი (დიოლოგოსი), მისი სულიერი მემკვიდრეობა და როლი ქრისტიანული ცივილიზაციის ისტორიაში“. ღონისძიების მოდერატორებად გამოვიდნენ აკადემიის პედაგოგი, ღვთისმეტყველების კანდიდატი პროტოდიაკონი კონსტანტინე მარკოვიჩი და ღვთისმეტყველების ლიცენციატი ეპისკოპოსი ნიკოლოზ დუბინინი. წარმოდგენილ მოხსენებებში მეცნიერებმა სხვადასხვა კუთხით გამოიკვლიეს წმიდა გრიგოლ დიდის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელმაც ქრისტიანული მემკვიდრეობა გაამდიდრა თავისი შრომებით კანონიკური სამართლის,

ლიტურგიკის, ეგზეგეტიკის, ქრისტოლოგიისა და ეკლესიოლოგიის დარგებში. ცალკე განხილვის თემად გახდა ტერმინის – „მსოფლიო პატრიარქი“ წმინდა მამისეული ინტერპრეტაცია.

მრგვალი მაგიდის მუშაობასთან ერთად გაიხსნა, ასევე, სექციური სესიები შემდეგ თემებზე: „ბიბლიური არქეოლოგია“, „ღვთისმეტყველება“, „სულიერი განათლების ისტორია“, „ეპისკოპოსები ეკლესიის ისტორიაში“, „პრაქტიკული ფსიქოლოგია“, „ბიბლიური ეგზეგეტიკა“, „გამოჩენილი ღვთისმეტყველების მემკვიდრეობა“, „ლიტურგიკა“, „ბიოეთიკა და მაღალი ტექნოლოგიები“, „უცხოდმადიდებელი ეკლესიების თეოლოგია“, „რუსული ეკლესიის ისტორია მე-17 – მე-20 საუკუნეების დასაწყისში“.

კონფერენციის პირველი დღე დასრულდა მრგვალი მაგიდით „წიგნების სერია „თეოლოგია: ისტორია და თანამედროვეობა“ – განვითარების პერსპექტივები და მიმართულებები“. ორგანიზატორი იყო სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა. ქვეგანყოფილების მუშაობას მოდერატორობდნენ აკადემიის ღვთისმეტყველების კათედრის გამგე, მღვდელი დიმიტრი ლუშნიკოვი და [illegible] ოხილვითი [illegible] ამოშვების

mospat.ru